საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა:info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს მდგრადი განვითარება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური გეოგრაფიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სემესტრში სტუდენტი გაივლის 30 ECTS, წელიწადში 60 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება 14 ძირითადი კურსისაგან, პროფესიული პრაქტიკისა (10კრ) და სამაგისტრო ნაშრომისაგან (30 კრ). პროფესიულ პრაქტიკა - 10 ECTS კრედიტი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია აჭარის ბუნებრივი ლანდშაფტების თავისებურებების, ნიადაგსაფარის მრავალფეროვნების, გრავიტაციული პროცესების (მეწყერები) აქტიურობის და ზღვის სანაპირო ზონაში არსებული რთული მორფოდინამიკური პროცესების და შედეგების შესწავლა. აგრეთვე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც თანამედროვე სამეცნიერო – ტექნიკური ბაზის პირობებში შეეძლება ჩაატაროს კვლევა ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	სამაგიტრო პროგრამის ათვისების შემდეგ გეოგრაფიის მაგისტრი ფლობს ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის მეთოდებსა და ხერხებს; • მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველზე შეუძლია აწარმოოს მონიტორინგი გარემოში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე; • ბუნებაში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე მონიტორინგის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით შეუძლია შექმნას საფუძვლიანი და დეტალური ანგარიში.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ნაზიბროლა ფაღავა-ასოცირებული პროფესორი Nazibrola.pagava@bsu.edu.ge ხათუნა ჭიჭილეიშვილი- ასისტენტ პროფესორი Chichileishvili.khatuna@bsu.edu.ge